საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 3 19 01039627

23/04/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადისტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 22 აპრილის N60-01191121077 წერილით განმეორებით წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირ N 24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.34.002.190) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის დაპროექტების დოკუმენტაციაში, კვლავ უგულებელყოფილია ჩვენი არაერთი წერილით მოთხოვნილი, კიბის უჯრედებში ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმედეგი კარების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხი.

ამასთან ერთად, განხილული იქნა ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც კვლავ მოყვანილია არასწორი და შეუსაბამო განმარტებები, კერძოდ:

ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით მიღებული მოთხოვნების თანახმად, კიბის უჯრედებში შესასვლელი კარებების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია **ქვეთავი 1009-ით(გზა-კიბეები)** და **ქვეთავი 1022-ით (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები)** და არა **ქვეთავი 909-ით (კვამლის საკონტროლო სისტემები).** ქვეპ უნქტები 1009.3.1.4 და 1022.4 გვამისამართებს 716 ქვეთავზე, სადაც კონკრეტულად აღნიშნულია, რომ კარების ცეცხლმედეგობა უნდა განისაზღვროს 716.5 ცხრილის (**ღიობის ცეცხლისგან დამცავი ანაწყობები, ხარისხები და აღნიშვნები)** მიხედვით და არა 909.20.4.1 ქვეპუნქტით. ამას ემატება ისიც, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეპუნქტი **102.1-ის მოთხოვნა,** “სადაც ზოგადი მოთხოვნა ეწინააღმდეგება სპეციფიკურ მოთხოვას, გამოიყენება

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

სპეციფიკური მოთხოვნა. სადაც, ნებისმიერ სპეციფიკურ შემთხვევაში, წესების სხვადასხვა ნაწილებში განსაზღვრულია განსხვავებული მოთხოვნები, უნდა შესრულდეს მათ შორის ყველაზე მკაცრი მოთხოვნები“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილებში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, როგორც წესი შეფერხდება არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

